HEIDELBERGCEMENT
GEORGIA

ავტო ტრანსპორტის უსაფრთხოების პოლიტიკა

მოქმედების სფერო	კომპანიის ყველა სამუშაო ობიექტი
შედგენილია	01/2014
განახლება	07/2018, 01/2019, 12.2020
დამტკიცებულია	ოლივერ პაჩი გენერალური დირექტორი
შეთანხმებულია	ეკატერინე ვაშაკიძე HR/H&S დირექტორი
შედგენილია	გიორგი კობახიძე H&S კოორდინატორი
ვერსია	04

სარჩევი

1. შესავალი 4
2. მოქმედების სფერო 4
3. გამოყენებული ტერმინები 4
4. მხარეთა უფლება მოვალეობები: 6
4.1 კომპანიის უფლებები 6
4.2 ავტომეურნეობაზე პასუხისმგებელი პირების ვალდებულებები: 6
4.3 მძღოლის ვალდებულებები: 7
5. უსაფრთხოების წესები: 8
5.1 მგზავრის უსაფრთხოების წესები: 8
5.2 მძღოლის უსაფრთხოების წესები 8
6. ავტომანქანის წინასამგზავრო დათვალიერება: 9
7. ავტომანქანის მართვისას დასაშვები სიჩქარეები: 9
8. ქმედებები ავტოსაგზაო შემთხვევისას 10
9. უსაფრთხოების მოთხოვნები ა/მანქანების მიმართ 11
9.1 მსუბუქი ა/მანქანები 11
9.2 სატვირთო ა/მანქანები (სატვირთოები/ცემენტმზიდები/ბეტონ შემრევები) 11
10. ავტომანქანის თანმხლები დოკუმენტაცია 12
11. საკომუნიკაციო საშუალებების მოხმარების პროცედურა: 12
12. მძღოლის იდენტიფიკატორის მოხმარების პროცედურა 13
13. მძღოლის შერჩევის, წინასწარი და პერიოდული შეფასების პროცედურა 13
14. მძღოლის სამუშაო საათები 14
15. GPS მონიტორინგი 15
16. მძღოლების შეფასების ცხრილი 15
17. ავტომანქანისა და მძღოლის ხილვადობა 16
18. ა/სატრანსპორტო საშუალების ტვირთამწეობა და ტვირთის ლიმიტები 17

19. აკრძალვები და შეზღუდვები....17
20. კონტრაქტორი მძღოლების დაშვება კომპანიის სამუშაო ობიექტზე 18
21. წამახალისებელი პროგრამა....19
22. დანართიA (სატვირთო ა/მანქანის წინასამგზავრო დათვალიერების ჟურნალი)....20
23. დანართი B (მძიმე და საკარიერო ტექნიკის წინასამგზავრო დათვალიერების ჟურნალი) 21
24. დანართი C (საგანგებო სიტუაციებზე რეგირების გეგმა) 23
25. დანართი D ა/ტრანსპორტის შემოწმების ფორმა....24
26. დანართი E - საშვი ა/ტრანსპორტზე/მობილურ ტექნიკაზე....25
27. დანართი E- საშვი მძღოლზე/ოპერატორზე....26

1. შესავალი

კომპანია ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია, მოწოდებულია უზრუნველყოს ავტო სატრანსპორტო საშუალებებით გამოწვეული ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების სრული პრევენცია. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის საკუთრებაში იმყოფება რამოდენიმე ათეული ავტო სატრანსპორტო საშუალება და მძიმე ტექნიკა, კომპანიის სამუშაო ტერიტორიაზე ან მის გარეთ ავტო საგზაო შემთხვევების ალბათობა მაღალია. ყოველივე ამის გათვალიწინებით წინამდებარე პოლიტიკა განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს ადგენს ნორმებსა და წესებს, რომელიც უნდა იყოს დაცული ავტო ტრანსპორტის ოპერირებისას.

წინამდებარე დოკუმენტი ეყრდნობა ადგილობრივ კანონმდებლობასა და ჯგუფის სტანდარტს „ავტო ტრანსპორტის მართვის უსაფრთხოება“

2. მოქმედების სფერო

წინამდებარე პროცედურა ვრცელდება კომპანიის ყველა სამუშაო ობიექტზე და სავალდებულოა, როგორც მსუბუქი ასევე მძიმე ტექნიკისათვის.

არსებული რეგულაციები სავალდებულოა იმ კონტრაქტორი ორგანიზაციებისათვის, რომლების სრულ განაკვეთზე ახორციელებენ საკუთარ საქმიანობს კომპანიისათვის. მაგალითისათვის:

- სატრანსპორტო მომსახურება კარიერებზე;
- დროებით დაქირავებული ავტო ტრანსპორტი ან მძიმე ტექნიკა;
- სამუშაო ობიექტებზე პროექტის ფარგლებში ოპერირებადი ავტო სატრანსპორტო საშუალებები და მძიმე ტექნიკა

3. გამოყენებული ტერმინები

მეფლაგმანე	პიროვნება, რომელიც აძლევს მიმართულებას ტრანსპორტის მოძრაობას
კონტრაქტორი	პიროვნება, ორგანიზაცია და ა.შ. რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე ახორციელებს სამუშაოებს კომპანია ჰაიდელბერგცემენტისათვის.
მძღოლის სწავლება	სასწავლო პროგრამა, რომელიც ტარდება იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ მძღოლი არის კომპეტენტური და შეუძლია შესაბამისი კლასის ტრანსპორტის ოპერირება. პროგრამა უნდა შეიცავდეს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ სწავლებასა და შეფასებას.
მძღოლი	პიროვნება, რომელიც ოპერირებს ტრანსპორტს კომპანიის საქმიანობის ფარგლებში.

კიდეების დაცვა/ ნაპირები	ბარიერები- მყარი ან ნაყარის სახით, რომელიც არ გადაიყვანს ტრანსპორტს სამოძრაო ზოლიდან
მძიმე ტექნიკა (სატვირთო)	ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს. ბეტონშემრევები, პომპები, სატვირთოები და ა.შ.
მძიმე სამთო ტექნიკა (HME)	მობილური ტექნიკა, რომელიც გამოიყენება გარკვეული, სპეციფიკური სამუშაოებისათვის და რომელთაც ძირითად არ აქვთ უფლება გავიდნენ და ისარგებლონ საერთო სარგებლობის გზებით. მაგალითისათვის: ექსკავატორები, ციცხვიანი და ჩანგლიანი დამტვირთველები, ბულდოზერები, გრეიდერები და ა.შ.
მართვის მოწმობა	კანონიერი დოკუმენტი, რომელიც აძლევს მის მფლობელს უფლებას ოპერირება გაუწიოს მართვის მოწმობით კლასიფიცირებულ ა/სატრანსპორტო საშუალებას.
მსუბუქი ტრანსპორტი	3.500კგ-მდე ნებადართული მაქსიმალური მასის სატრანსპორტო საშუალება
მობილური ტექნიკა	ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც შეიძლება იყოს თვითმავალი ან რომლის ოპერირებაც ხდება ოპერატორის მიერ.
საერთო სარგებლობის გზა	გზა, რომელიც არ არის ჰაიდელბერგცემეტის კონტროლის ან საკუთრების ქვეშ.
ორმხრივი საკომუნიკაციო მოწყობილობა	ნებისმიერი მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ორ პიროვნებას შორის კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითისათვის: მობილური/სატელიტური ტელეფონები, რაციები, ტექსტური შეტყობინების მოწყობილობები და ა.შ.
VDR	ა/მანქანის მონაცემთა რეგისტრატორი. მოწყობილობა იწერს ისეთ ინფორმაციას როგორიცაა: მკვეთრი აჩქარება, მკვეთრი მუხრუჭი, მოძრაობის საათი, სიჩქარე, ხელის მუხრუჭის მდგომარეობა, უსაფრთხოების ღვედის მდგომარეობა.
სამუხრუჭე ბუნიკები	მყარი მოწყობილობა, რომელიც ლაგდება საბურავებთან, რათა თავიდან იქნას აცილებული ტრანსპორტის დაგორება ან უეცარი დაძვრა.

4. მხარეთა უფლება მოვალეობები:

4.1 კომპანიის უფლებები

- აწარმოოს მძღოლების ინდივიდუალური მონიტორინგი შესაბამისი მოწყობილობების (GPS და ა.შ) საშუალებით;
- შეიმუშავოს და დანერგოს ა/სატრანსპორტო საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებული პროცედურები და ინსტრუქციები;
- პერიოდულად/საჭიროებისამებრ შეიტანოს ცვლილებები არსებულ პროცედურასა თუ ინსტრუქციებში;
- დაადგინოს, და საჭიროებისამებრ შეცვალოს ან გაზარდოს სიჩქარის ლიმიტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ლიმიტების ფარგლებში, თუ ამას მოითხოვს სამუშაო სპეციფიკა;
- წინამდებარე პროცედურის დარღვევის შემთხვევაში დისციპლინარული სასჯელი დააკისროს პასუხისმგებელ პირს.

4.2 ავტომეურნეობაზე პასუხისმგებელი პირების ვალდებულებები:

- უზრუნველყოს ავტომანქანების ტექნიკური გამართულობისათვის შესაბამისი მომსახურება;
- უზრუნველყოს ა/მანქანების ტექნიკურ გამართულობაზე პერიოდული/გეგმიური მონიტორინგი წინასწარ შედგენილი გეგმისა და ინსტრუქციის საფუძველზე;
- უზრუნველყოს ა/მანქანები უსაფრთხოების აღჭურვილობით, როგორიცაა: ცეცხლმაქრი, პირველადი დახმარების ყუთი, გამაფრთხილებელი სამკუთხედი.
- გააცნოს მძღოლებს წინამდებარე პროცედურა და ასევე ნებისმიერი ცვლილება რაც კი შეტანილი იქნება წინამდებარე პროცედურაში;
- ყოველკვარტალურად ჩაუტაროს მძღოლებს უსაფრთხო მართვის ინსტრუქტაჟი.
- მოახდინოს დროული რეაგირება ა/მანქანის ტექნიკური გაუმართაობის აღმოსაფხვრელად.

4.3 მძღოლის ვალდებულებები:

- განუხრელად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები ავტოსაგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;
- განუხრელად დაიცვას წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- დაუყოვნებლივ აცნობოს პირად ხელმძღვანელს:
    - ექსტრემალური სიტუაციები;
    - ავტომანქანის მწყობრიდან გამოსვლა
    - ა/მ-ის გასაღების, დოკუმენტაციის და ა.შ. დაკარგვა.

<u>შენიშვნა: ასეთ შემთხვევაში მძღოლი ვალდებულია დაუკავშირდეს პირად ხელმძღვანელს და კომპანიის H&S-ი დირექტორს ან კოორდინატორს და იმოქმედოს მათ მერ მიღებული მითითებების შესაბამისად. თუ ა/მანქანის დაზიანების მიზეზად დასტურდება მძღოლის ბრალეულობა კომპანიას აქვს უფლება ზარალის ანაზღაურება მოთხოვოს მძღოლს.</u>

- ავტომანქანის წინასამგზავრო დათვალიერება განახორციელოს წინამდებარე პროცედურის გათვალისწინებით **(დანართი A-სატვირთო ა/მანქანის** წინასამგზავრო დათვალიერება სატვირთო ა/მანქანებისათვის **დანართი B** -წინასამგზავრო დათვალიერება მძიმე (ყვითელი ტექნიკისათვის) და საკარიერო ტექნიკისათის
- წინასამგზავრო დათვალიერებისას დაფიქსირებული ნებისმიერი დარღვევა დაუყოვნებლივ აცნობოს ავტომეურნეობაზე პასუხისმგებელ პირს;
- უზრუნველყოს ავტომანაქანაში სისუფთავე;
- სამუშაოს დასრულების ან ა/მანქანის დროებით დატოვების შემთხვევაში უზრუნველყოს კარებებისა და ფანჯრების სრულფასოვანი ჩაკეტვა;
- ავტომანქანა გამოიყენოს მხოლოდ სამსახურეობრივი მოვალეობების შესასრულებლად;
- ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი მგზავრებს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს საგანგებო სიტუაციების დროს, მაშინ როდესაც მძღოლი დაშავებულია და არ შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად;
- დაესწროს ა/მანქანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა სახის ტრეინინგს.
- კომპანიის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე ასევე სამშენებლო ან სხვა სახის ინდუსტრიულ ზონებში ა/მანქანის გარეთ გამოიყენოს შუქამრეკლი ჟილეტი, ჩაფხუტი, უსაფრთხოების ბათინკები და სპეც. სათვალეები;
- გზაზე ა/მანქანის დაზიანების შემთხვევაში გამოიყენოს შუქამრეკლი ჟილეტი და ა/მანქანის უკან განათავსოს ავარიული სამკუთხედი;
- სამუშაო საათების დამთავრების შემდგომ დაასუთავოს ა/მანქანა;

შენიშვნა: ავტო-საგზაო წესების დარღვევისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება მძღოლს, კომპანიის ავტომანქანით სარგებლობისას ავტო-საგზაო წესების დარღვევისათვის მძღოლს შესაძლოა ჩამოერთვას ა/მანქანა ან მის მიმართ განხორციელდეს დისციპლინარული სანქციები კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწვეტილებისამებრ.

5. უსაფრთხოების წესები:

ა/მანქანის გამართულობისა და ნორმალური საგზაო პირობების მიუხედავად ა/საგზაო შემთხვევების უმეტესი ნაწილი ხდება მძღოლების მიერ მოძრაობისას არასაკმარისი ყურადღების, სიჩქარის გადაჭარბების, გზაზე რისკების გაუთვალისწინებლობისა და არასათანადო რეაგირების გამო.

მგზავრობისას მნიშვნელოვანია უსაფრთხო სიჩქარით გადაადგილება, საგზაო ნიშნების მოთხოვნებზე დამორჩილება და მოძრაობის სხვა მონაწილეთა მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენა.

მძღოლებიც და მგზავრებიც ვალდებულნი არიან მკაცრად დაიცვან უსაფრთხოების შემდეგი ზომები:

5.1 მგზავრის უსაფრთხოების წესები:

- არასოდეს არ ააჩქაროს მძღოლი;
- ყოველთვის შეკრული ქონდეს უსაფრთხოების სამწერტილიანი ღვედი;
- არ მოწიოს თამბაქო მანქანაში;
- თუ შეატყო, რომ მძღოლი დაღლილია მოსთხოვოს მას შესვენება;
- არ დაიძინოს მანქანაში, რათა საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მძღოლის დახმარება.

5.2 მძღოლის უსაფრთხოების წესები

- ჩაუტაროს ა/მანქანას წინასამგზავრო დათვალიერება;
- დაიძრას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა მგზავრი შეიკრავს ღვედს და ყველა კარი იქნება დაკეტილი;
- ყოველთვის იმოძრაოს უსაფრთხო სიჩქარით;
- გზა დაუთმოს ფეხით მოსიარულეებს;

- უწვეტი მგზავრობისას ყოველ სამ საათში შეისვენოს ნახევარი საათით;
- დაიცვას დისტანცია მოძრავ თუ გაჩერებულ ა/მანქანებს შორის;
- გააჩეროს ა/მაქანა ისე, რომ მძღოლი ხედავდეს მის წინ არსებული ა/მანქანის უკანა საბურავებს;
- თოვლიან ან მოყინულ საფარზე გამოიყენოს მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები;
- დაუყოვნებლივ აცნობს პირად ხელმძღვანელსა და კომპანიის H&S დეპარტამენტს გზაზე არსებული საფრთხის ან ინციდენტის შესახებ;
- ჩართული ქონდეს მაშუქები მზის ჩასვლამდე 30 წუთით ადრე და მზის ამოსვლიდან მინიმმუმ 30 წუთის განმავლობაში;
- გამოიყენოს საყვირი გასაფრთხილებლად და არა გასაღიზიანებლად;
- გაითვალისწინოს გზისა და ამინდის პირობები, მოსალოდნელი თუ გამაფრთხილებელი ნიშნებით მითითებული საფრთხეები;
- გაითვალისწინოს სხვა მძღოლების სახიფათო ქმედებები.
- სავალდებულო PPE- უსაფრთხოების ბათინკები/შუქამრეკლი ჟილეტი/ჩაფხუტის გამოყენება სამუშაოს საათებში ა/მანქანის გარეთ ყოფნისას.

6. ავტომანქანის წინასამგზავრო დათვალიერება:

სამუშაო ცვლის დაწყებისას მძღოლი/ოპერატორი ვალდებულია ჩაატაროს ა/მანქანის ან მძიმე (ყვითელი) ტექნიკის წინასამგზავრო დათვალიერება. (სატვირთოები, საკარიერო ტექნიკა, ბეტონშემრევი, პომპა, ყვითელი ტექნიკა)

წინასამგზავრო დათვალიერება ტარდება შესაბამისი ე.წ. ჩეკლისტების საფუძველზე, რომელიც განთავსებულია ა/ტრანსპორტში. მძღოლი ვალდებულია დეტალურად შეამოწმოს ა/მანქანაზე ჩეკ ლისტში არსებული მინიმალური მოთხოვნებით გათვალისწინებული პუნქტები.

ნებისმიერი გაუმართაობის არსებობის შემთხვევაში მძღოლს ეკრძალება ა/მანქანის დაძვრა, ის ვალდებულია საკუთარი ძალებით აღმოფხვრას შეუსაბამობა თუ ეს შესაძლებელია, ან დაუკავშირდეს პირად ხელმძღვანელს ან ა/ტრანსპორტის გამართულობაზე პასუხისმგებელ პირს და იმოქმედოს მიღებული მითითებებით.

7. ავტომანქანის მართვისას დასაშვები სიჩქარეები:

მაქსიმალური დასაშვები სიჩქარის ლიმიტი განისაზღვრება კომპანიის მიერ. ავტომანქანის მართვისას მძღოლი ვალდებულია იმოძრაოს კომპანიის მიერ დადგენილი სიჩქარის

ლიმიტით და მანევრირებისას გაზარდოს სიჩქარე მხოლოდ დაწესებული ლიმიტის ფარგლებში:

- კომპანიის ა/მანქანებისათვის ავტო მაგისტრალზე მაქსიმალურ დასაშვებ სიჩქარედ განსაზღვრულია დღე 90კმ/სთ, ღამე80კმ/სთ;
- საავტომობილო გზებზე დღე 80კმ/სთ, ღამე 70კმ/სთ
- უგზოობის პირობებში მაქსიმალური დასაშვებ სიჩქარედ განსაზღვრულია დღე 40კმ/სთ, ღამე 30კმ/სთ
- მე-5 კატეგორიის გზებზე მაქსიმალური დასაშვები სიჩქარეა დღე 50კმ/სთ, ღამე 40კმ/სთ
- დასახლებულ პუნქტებში საგზაო ნიშნით გათვალისწინებული სიჩქარის მოთხოვნები
- კომპანიის საკუთრებაში არსებული ობიექტები (ცემენტის ქარხნები, ბეტონის ქარხნები, კარიერები და ა.შ.) ასევე სამშენებლო ობიექტები: 5კმ/სთ

8. ქმედებები ავტოსაგზაო შემთხვევისას

მძღოლი ვალდებულია დაემორჩილოს შსს საპატრულო პოლიციის მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება მძღოლს.

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მძღოლი ვალდებულია:

- გააჩეროს ა/მანქანა და გამორთოს ძრავი;
- არ მოახდინოს ა/მანქანის გადაადგილება შემთხვევის ადგილიდან;
- ადამიანის დაშავების შემთხვევაში აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება თუ გავლილი აქვს შესაბამისი სასწავლო კურსები;

დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს პირად ხელმძღვანელს ან კომპანიის H&S დეპარტამენტს და მიაწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- შემთხვევის დრო და ადგილი;
- მარშრუტის დეტალები;
- ვინაობა;
- მგზავრების ვინაობა (არსებობის შემთხვევაში)
- ა/მანქანის მგომარეობა;
- ტვირთი;
- ინფორმაცია დაშავებულების შესახებ ;
- სხვა დამატებითი დეტალები, რაც დაკავშირებულია ა/სატრანსპორტო შემთხვევასთან.

<u>(დანართი C –საგანგებო სიტუაციების გეგმა)</u>

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ მძღოლი მხოლოდ პირად ხელმძღვანელს დაუკავშირდა, პირადი ხელმძღვანელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს H&S დირექტორს ან კოორდინატორს და აცნობოს მომხდარი ფაქტი.

9. უსაფრთხოების მოთხოვნები ა/მანქანების მიმართ

9.1 მსუბუქი ა/მანქანები

კომპანიის საკუთრებაში არსებული მსუბუქი ა/მანქანები აღჭურვილნი უნდა იყვნენ:

- სავარძლის თავმისადებებით;
- უსაფრთხოების ბალიშებით;
- გვერდითი და სალონის სარკეებით;
- ანტი ბლოკირების მუხრუჭებით (ABS):
- პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი;
- ცეცხლმაქრი;
- ქანჩი/სახრახნისი;
- სათადარიგო საბურავი;
- გამაფრთხილებელი სამკუთხედი.
- ავარიული ჩაქუჩი.

9.2 სატვირთო ა/მანქანები (სატვირთოები/ცემენტმზიდები/ბეტონ შემრევები)

უსაფრთხოების მიზნით ა/მანქანა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი სახის აღჭურვილობით:

- გვერდითა სარკეები;
- ანტი ბლოკირების მუხრუჭებით ABS (თუ მწარმოებლის მიერ არის გათვალისწინებული)
- უკანა სვლის ხმოვანი სიგნალით;
- სიჩქარის გადაჭარბების გამაფრთხილებელი სიგნალით;
- უსაფრთხოების ბალიშები (თუ მწარმოებლის მიერ არის გათვალისწინებული)
- სათადარიგო საბურავით;
- პედლები რეზინის ზედაპირით;
- საბურავის ბლოკირებები;
- პირველადი დახმარების სამედიცინო ყუთი;
- ცეცხლმაქრი;

- გამაფრთხილებელი სამკუთხედი;
- შუქამრეკლი ჟილეტი;
- ავარიული ჩაქუჩი;
- სამუშაო ხელთათმანი;
- მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვი;

ა/მანქანის სალონში უსაფრთხოებისათვის განთავსებული უნდა იქნას შემდეგი ნიშნები:

- პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთის ადგილმდებარეობის მაჩვენებელი;
- საჭესთან ტელეფონზე ლაპარაკი აკრძალულია;
- მოწევა აკრძალულია;
- გზა დაუთმეთ ფეხით მოსიარულეებს;
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და პასუხიმგებელი პირების (პირადი ხელმძღვანელის, საგანგებო სიტუაციების სამსახურისა და კომპანიის H&S დეპარტამენტის საკონტაქტო პირები) საკონტაკტო ინფორმაცია.

10. ავტომანქანის თანმხლები დოკუმენტაცია

- მძღოლის მართვის მოწმობა;
- ა/მანქანის ტექნიკური პასპორტი;
- ა/მანქანის წინასამგზავრო დათვალიერების ჟურნალი;
- საგანგებო სიტუაციების გეგმა

11. საკომუნიკაციო საშუალებების მოხმარების პროცედურა:

მძღოლს ეკრძალება ა/მანქანით გადაადგილებისას ნებისმიერი სახის საკომუნიკაციო (დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებების ჩათვლით) საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობა.

საკომუნიკაციო საშუალების სარგებლობისათვის მძღოლი ვალდებულია გადავიდეს გზის სავალი ნაწილიდან და გააჩეროს ა/მანქანა ისე რომ საფრთხე არ შეუქმნას არც საკუთარ თავს და არც საგზაო მოძრაობის სხვა სუბიექტებს, გამორთოს ძრავი, დააყენოს ა/მანქანა ხელის მუხრუჭზე, ჩართოს ავარიული მაშუქები და მხოლოდ ამის შემდეგ ისარგებლოს საკომუნიკაციო საშუალებით.

12. მძღოლის იდენტიფიკატორის მოხმარების პროცედურა

იმ შემთხვევაში, როდესაც ა/მანქანის ექსპლუატაციას რამოდენიმე მძღოლი ახორციელებს, მათი იდენტიფიკაციისათვის ყველა ა/მანქანა უნდა იქნას აღჭურვილი შესაბამისი ამომცნობი მოწყობილობით და მძღოლები კი ინდივიდუალური იდენტიფიკატორებით.

ა/მანქანის ძრავის ჩართვისას მძროლი ვალდებულია:

- დააფიქსიროს იდენტიფიკატორი შესაბის მოწყობილობაზე მიდებით (მინ. 5წამი);
- იდენტიფიკატორის დაფიქსირება უნდა მოხდეს ძრავის ყველა ჯერზე ჩართვისას;
- დაუშვებელია სხვა პირის იდენტიფიკატორის გამოყენება ან საკუთარის სხვა პირზე გადაცემა;
- იდენტიფიკატორი გაცემული უნდა იქნას მძღოლზე ავტოფარეხის ხელმძღვანელის მიერ სამუშაოს დაწყებისას;
- სამუშაოს დამთავრებისას მძღოლი ვალდებულია იდენტიფიკატორი ჩააბაროს ავტოფარეხის ხელმძღვანელს.
- იდენტიფიკატორის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, მძღოლი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ავტო ფარეხის ხელმძღვანელსა და კომპანიის H&S კოორდინატორს.

13. მძღოლის შერჩევის, წინასწარი და პერიოდული შეფასების პროცედურა

ა/ტრანსპორტი წარმოადგენს მაღალი რისკის შემცველ აქტივობას კომპანიისათვის. ყოველივე ამის გათვალისწინებით კომპანიის H&S სამსახური უსაფრთხოების სამსახურთან ერთად ვალდებულია მძღოლის დასაქმებამდე მოახდინოს მძღოლის წინასწარი შეფასება/სკრინინგი.

დაუშვებელია სამსახურში აყვანილი იქნას მძღოლი რომელსაწ წარსულში ქონდა შემდეგი სახის დარღვევები:

1. ა/სატრანსპორტო შემთხვევა, რომელსაც მოყვა მსხვერპლი;
2. ორი ან მეტი ა/სატრანსპორტო შემთხვევა რომლებიც გამოწვეული იქნა მძღოლის ბრალეულობით;
3. ჯარიმა ან მართვის მოწმობის ჩამორთმევა სიმთვრალეზე;
4. წლის განმავლობაში დაფიქსირებული ორი და მეტი საჯარიმო სანქცია სიჩქარის გადაჭარბებაზე.

მძღოლის პოზიციაზე ასაყვანად უნდა მოხდეს იმ პირთა შერჩევა, რომლებსაც გააჩნიათ მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება შესაბამისი კატეგორიის ა/სატრანსპორტო საშუალების მართვისა.

სამსახურში საბოლოო აყვანამდე სავალდებულოა კანდიდატმა გაიაროს სწავლება და გადალახოს თეორიული და პრაქტიკული ტესტი.

მძღოლის სწავლება/შეფასებას ახორციელებს კომპანია ჰაიდელბერგცემენტის მიერ აღიარებული კონტრაქტორი ორგანიზაცია, რომლესაც გააჩნია შესაბამისი გამოცდილება ა/ტრანსპორტის უსაფრთხებაში.

კომპანია ჰაიდელბერგცემენტი უზრუნველყოფს მძღოლების თეორიულ და პრაქტიკულ შეფასებას ყოველწლიურად.

იმ შემთხვევაში, თუ მძღოლი/ოპერატორი ვერ გადალახავს თეორიულ ან პრაქტიკულ შეფასებას, მას დაენიშნება განმეორებითი გამოცდა/შეფასება, რომლის არადამაკმაყოფილებლად ჩაბარების შემთხვევაში კომპანია იღებს ვალდებულებას შეწყვიტოს მძღოლთან/ოპერატორთან საქმიანი ურთიერთობა.

14. მძღოლის სამუშაო საათები

წინამდებარე ცხრილში განსაზღვრულია სამუშაო საათები მძღოლებისათვის, რათა შემცირებული იყოს ავტოსაგზაო შემთხვევების ალბათობა, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს მძღოლის გადაღლით და არასრული დასვენებით ცვლიდან ცვლამდე. ცალკეულ შემთხვევებში, სამუშაო საათების გადაჭარბება დასაბუთებული უნდა იქნას ა/მეურნეობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ.

მოთხოვნა	წესები
მაქსიმალური სამუშაო საათები 24 საათიანი ცვლის პერიოდში	ა/მანქანის მართვის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 12 სთ-ს მთლიანობაში ცვლის შემდგომი დასვენება მინიმუმ უწყვეტი 36 სთ.
მაქსიმალური სამუშაო 12სთ-იანი ცვლის პერიოდში	ა/მანქანის მართვის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 10სთ-ს მთლიანობაში. ცვლის შემდეგ დასვენება მინიმუმ უწყვეტი 24სთ.
შესვენება სამუშაო საათებში ა/მანქანის მართვისას	30წთ ყოველი 3სთ უწყვეტი მართვისას
გადაბმული 5დღიანი 8 სთ-იანი ცვლის სამუშაოს შემდეგ	ა/მანქანის მართვის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 6.30წთ, ცვლის შემდეგ დასვენება მინიმუმ უწყვეტი

	48 სთ.

15. GPS მონიტორინგი

ა/მანქანებზე არსებული GPS სისტემის საშუალებით ხორციელდება მძღოლების ინდივიდუალური მონიტორინგი და მათი ყოველთვიური შეფასება კომპანიის H&S დირექტორისა და კოორდინატორის მიერ ყოველი თვის პირველ კვირაში.

მძღოლების შეფასებისა მხედველობაში მიიღება მძღოლების მიერ ყოველი თვის განმავლობაში დაფიქსირებული სიჩქარის გადაჭარბების რაოდენობრივი მაჩვენებლები ადგილმდებარეობის მიხედვით.

16. მძღოლების შეფასების ცხრილი

კატეგორია	სიჩქარის გადაჭარბების რაოდენობა	შედეგი	მაკორექტირებელი ღონისძიებები	ღონისძიებები განმეორების შემთხვევაში	დისციპლინარული სამქციები
მწვანე ზოლი	0-5	დადებითი			
ყვითელი ზოლი	6-10	საშუალო	აყვანილ იქნას კონტროლზე ჩაუტარდეს დამატებითი ინსტრუქტაჟი	ჩაუტარდეს დამატებითი ინსტრუქტაჟი.	გამოყენებული იქნას დისციპლინარული სანქცია
წითელი ზოლი	11+	უარყოფითი			გამოყენებული იქნას დისციპლინარული სანქცია

<u>შენიშვნა 1: იმ შემთხვევაში თუ მძღოლის მიერ დაფიქსირებული იქნა სიჩქარის გადაჭარბება 20კმ და მეტი (დადგენილ ლიმიტზე), ესეთ შემთხვევაში მძღოლის მიერ გატარებული იქნება დისციპლინარული სანქცია, ხოლო ფაქტის განმეორების შემთხვევაში ის განთავისუფლებული იქნება სამსახურიდან.</u>

17. ავტომანქანისა და მძღოლის ხილვადობა

ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მძღოლის ან მესამე მხარის ცუდი ხილვადობით მძღოლი ვალდებულია:

- მზის ჩასვლამდე 30წთ-ით ადრე ჩართოს მაშუქები
- მზის ამოსვლიდან 30წთ-ს განმავლობაში ჩართული ქონდეს მაშუქები:

ცუდი მეტეოროლოგიური პირობების დროს, როგორიცაა:

- წვიმა;
- თოვლი;
- ნისლი;

როდესაც მძღოლის ხილვადობა 100მ-ზე ნაკლებია, მძღოლი ვალდებულია გამოიყენოს შესაბამისი მაშუქები, რათა უზრუნველყოს როგორც საკუთარი ასევე მესამე მხარის ხილვადობა.

მძღოლის პირადი უსაფრთხოებისათვის, ა/სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოსვლის ყოველ ჯერზე მძღოლი ვალდებულია ეცვას შუქამრეკლი ჟილეტი. ავტოტრანსპორტის გზაზე დაზიანებისას სავალდებულოა გამაფრთხილებელი სამკუთხედის დადგმა ა/მანქანის უკანა მხარეს.

სამუშაო ობიექტზე (ცემენტისა და ბეტონის ქარხნების ტერიტორია) ყვითელი ტექნიკის მაღალი ხილვადობის უზრუნველსაყოფად სავალდებულოა ყველა ტექნიკა აღჭურვილი იყოს ციმციმა მაშუქებით, უკანა სვლის სიგნალითა და შუქამრეკლი ლენტებით ძარის უკანა მხარესა და კაბინის საყრდენებზე.

კარიერებზე მსუბუქი, მძიმე და ყვითელი ტექნიკის მაღალი ხილვადობის უზრუნველსაყოფად სავალდებულოა:

მძიმე და ყვითელი ტექნიკა აღიჭურვოს: ციმციმა მაშუქებით, შუქამრეკლი ლენტებით მინ. ძარის უკანა მხარეს და უკანა სვლის ხმოვანი სიგნალით;

მსუბუქი ა/სატრანსპორტო საშუალებებს ეკრძალებათ კარიერზე შესვლა (სანგრევი) შემდეგი აღჭურვილობის გარეშე: ციმციმა მაშუქები, გამაფრთხილებელი დროშები, შუქამრეკლი ლენტები ძარის უკანა მხარეს.

<u>შენიშვნა: მძღოლი მაღალი გარჩევადობის უზრუნველსაყოფად სავალდებულოა კომპანიისა და მუდმივი კონტრაქტორი ორგანიზაციის მღოლის მიერ გამოყენებული იქნას მხოლოდ და მხოლოდ ა3 კლასის გარჩევადობის სპეც ტანსაცმელი.</u>

18. ა/სატრანსპორტო საშუალების ტვირთამწეობა და ტვირთის ლიმიტები

- დაუშვებელია ა/სატრანსპორტო საშუალება დაიტვირტოს იმაზე დიდი წონის ტვირთით რაც მწარმოებლის მიერ არის განსაზღვრული;
- დაუშვებელია დამტვირთველის, ამწის და ა.შ. მიერ იმაზე დიდი რაოდენობის ტვირთის აწევა რაც მწარმოებლის მიერ არის განსაზღვრული.
- ა/სატრანსპორტო საშუალების გადატვირთვის თავიდან აცილებისათვის, ყოველ ა/მანქანაზე სავალდებულოა გაიკრას მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული წონის ლიმიტი. ნიშანი სავალდებულოა გაიკრას როგორც ა/მანქანის გარეთ, ასევე მძღოლის კაბინაში.
- მძღოლი ან ოპერატორი ვალდებულია იცოდეს მის ოპერირებაში მყოფი ა/ტრანსპორტის, დამტვირთველის ამწის და ა.შ. წონის ლიმიტი ასევე ასაწევი ან გადასაზიდი წონის მასა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეკრძალება ტრანსპორტით ოპერირება. ა/სატრანსპორტო საშუალების გადატვირთვაზე პასუხისმგებელია მძღოლი ან ოპერატორი.
- სამუშაო ობიექტის ხელმძღვანელობა ვალდებულია პერიოდულად განახორციელოს ლიმიტებზე კონტროლი სასწორიდან ამოღებული ინფორმაციის საფუძველზე.

19. აკრძალვები და შეზღუდვები

მძღოლს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ეკრძალება:

- ა/მანქანაში ტექნიკური პასპორტის დატოვება;
- ა/მანქანაში უცხო პირების დაშვება მგზავრობისას;
- საწვავის ბარათით ტრანზაქციის განხორციელება სვა ა/მანქანაზე;
- ა/მანქანის გასაღების გადაცემა მესამე პირზე;
- იდენტიფიკატორის გადაცემა მესამე პირზე;
- ა/მანქანის სარგებლობისას ტელეფონზე საუბარი;
- თამბაქოს მოწევა ა/მანქანაში;
- ავტო მანქანის (მათ შორის მძიმე ტექნიკის) დატოვება ჩართული ძრავით.
- ავტომანქანაში (მათ შორის მძიმე ტექნიკაში) გასაღების დატოვება
- ა/მანქანის მართვა ნასვამი, ნაბახუსევი ან ფსიქოტროპული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ;
- ა/მანქანის მართვა ცუდი ჯანმრთელობის პირობების შემთხვევაში;

- მძღოლის მიერ დღის განმავლობაში გავლილი მანძილის არ უნდა აღემატებოდეს 400კმ გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ეს არის გამოწვეული საწარმოო პროცესების აუცილებლობიდან.

20. კონტრაქტორი მძღოლების დაშვება კომპანიის სამუშაო ობიექტზე

კონტრაქტორი ორგანიზაციის მძღოლებისა და ა/სატრანსპორტო საშუალებების დაშვება კომპანიის ტერიტორიაზე ხორციელდება წინასწარი შეფასების საფუძველზე, რომელსაც ახორციელებს სამუშაო ობიექტის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მრჩეველი, რომელიც ვალდებულია:

- წინასწარი შეტყობინების საფუძვალზე შეამოწმოს კონტრაქტორი ორგანიზაციის ა/სატრანსპორტო საშუალების შესაბამისობა შედა მოთხოვნებთან;
- ჩაუტაროს მძღოლს/ოპერატორს შესაბამისი ინსტრუქტაჟი
- გასცეს ა/სატრანსპორტო საშუალებაზე საშვი **(იხილეთ დანართი E)**
- გასცეს მძღოლზე/ოპერატორზე მოწმობა, ნიშნად იმისა, რომ მას გავლილი აქვს შესაბამისი სწავლება სამუშაო ობიექტზე. **(იხილეთ დანართი F)**

აღნიშნული რეგულაციები ვრცელდება, კონტრაქტორის იმ სატრანსპორტო საშუალებასა და ტექნიკაზე, რომლებიც:

- სრულ განაკვეთზე მუშაოებნ კომპანიის საკუთრებაში მყოფ სამუშაო ობიექტებზე (კირქვისა და თიხის გადამზიდი კომპანიები)
- გარკვეული პროექტების ფარგლებში ახორციელებენ გრძელ ან მოკლევადიან სამუშაოებს კომპანიის ტერიტორიაზე.

საშვის მოქმედების ვადაა 1 წელი. მიუხედავად ამისა, თუ გეგმიური ინსპექტირების შედეგად დაფიქსირებული იქნა, რომ კონტრაქტორი ორგანიზაციის ა/სატრანსპორტო საშუალება თუ მძიმე ტექნიკა აღარ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ასევე არ ხდება სავალდებულო უსაფრთხოების პროცესების დაცვა და შეუსაბამობა არ იქნება გამოსწორებული კონტრაქტორთან შეთანხმებულ ვადებში, ესეთ შემთხვავში უნდა მოხდეს საშვის გაუქმება და ა/სატრანსპორტო საშუალება ან ტექნიკა არ დაიშვება კომპანიის სამუშაო ტერიტორიაზე.

გაცემულ საშვებზე დგება შესაბამისი რეესტრი, რომლის მიხედვითაც კონტროლდება გაცემული და გაუქმებული საშვები და მათი ვადები. რეესტრზე კონტროლს ახორციელებს სამუშაო ობიექტის სრომის უსაფრთხოების მრჩეველი

21. წამახალისებელი პროგრამა

დისციპლინარულ სანქციებთან ერთად კომპანიაში ამოქმედებულია მძღოლების წახალისების პროგრამაც. GPS წლიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, წლის განმავლობაში უსაფრთხოდ განვლილი მანძილი (სიტყვიერი შენიშვნისა და დისციპლინარული სანქციის გარეშე) და უშუალო ხელმძღვანელის დადებითი შეფასება იქნება საფუძველი მძღოლის მიმართ წამახალისებელი ღონისძიების გატარებისა წლის ბოლოს.

წახალისების ფორმაზე გადაწყვეტილებას ღებულობს კომპანიის HR/H&S დირექტორი.

22. დანართიA (სატვირთო ა/მანქანის წინასამგზავრო დათვალიერების ჟურნალი)

თარიღი----/----/-----

ავტომანქანის სახ.ნომერი---------/----------

სახელი/გვარი----------

№	შემოწმებულია	კი	არა	კომენტარი
1	**შემოუარეთ ა/ტრანსპორტს 360°-ით**			
2	**საბურავები გამართულია?** *(არ არის დაზიანებული, გაჭრილი, დეფორმირებული)*			
3	**გაყონვები შემოწმებულია** ?*(წყალი, ზეთი საწვავი ჰიდრავლიკა)*			
4	**მისასვლელები გამართულია?** *(კაბინაში, ბეტონის შემრევის დოლურასთან, ძარაზე ასასვლელი კიბეები)*			
5	**უსაფრთხოების აღჭურვილობა ადგილზეა?** *(პირველადი დახმარების ყუთი, ცეცხლმაქრი, უსაფრთხოების ღვედი, გამაფრთხილებელი სამკუთხედი)*			
6	**ფუნქციური ტესტი დამაკმაყოფილებელია?** *(წინა/უკანა*			

ოდომეტრის მაჩვენებელი----------

	შუქები, სამუხრუჭე შუქები, მოხვევის ციმციმა შუქები, საყვირი, უკუ სვლის სიგნალი, სალონში საინფორმაციო და გამაფრთხილებელი ინდიკატორები)			
7	**საჭე და მუხრუჭები გამართულია ?** *(ჩაატარეთ ფუნქციური ტესტი შეამოწმეთ საჭე და მუხრუჭები მათ შორის ხელის მუხრუჭები)*			
8	**ინდ. დაცვის საშუალებები ადგილზეა ?** *(სპეც ფეხსაცმელები, ჩაფხუტი, შუქამრეკლი ჟილეტი)*			
დამატებთი კომენტარები				

ხელმოწერა ----------

შემოწმების, დადებითი შედეგი მონიშნეთ გრაფაში **კი**. დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში კი გრაფა **არა**.

<u>დაზიანების დაფიქსირებისას თქვენ ვალდებული ხართ შეატყობინოთ პრობლემა პირად ხელმძღვანელს და გააკეთოთ შესაბამისი კომენტარი ჟურნალში</u>

23. დანართი B (მძიმე და საკარიერო ტექნიკის წინასამგზავრო დათვალიერების ჟურნალი)

თარიღი----/----/----- ოპერატორი ----------

	შემოწმებულია	**კი**	**არა**	**N/A**	**კომენტარრი**
1	**შემოუარეთ ტექნიკას 360°-ით**				
2	**საბურავები გამართულია?** *(არ არის დაზიანებული, გაჭრილი, დეფორმირებული)*				
3	**გაყონვები შემოწმებულია ?** *(წყალი, ზეთი, საწვავი ჰიდრავლიკა)*				
4	**მისასვლელები გამართულია?** *(კაბინაში, ტექნიკის კორპუსზე ასასვლელი კიბეები და არსებული მოაჯირები)*				
5	**კოვში/ნიჩაფი/ჩანგალი გამართულია?** *(ვიზუალურად შეამოწმეთ დაზიანბაზე, ბზარებზე, გადაბმისა და შეერთების ადგილებზე)*				
6	**უსაფრთხოების აღჭურვილობა ადგილზეა და გამართულია?** *(პირველადი დახმარების ყუთი, ცეცხლმაქრი, უსაფრთხოების ღვედები)*				
7	**ტექნიკის ხილვადობა დამაკმაყოფილებელია** *(შეამოწმეთ ციმციმა გამაფრთხილებელი შუქი)*				
8	**ფუნქციური ტესტი დამაკმაყოფილებელია?** *(შუქები, სიგნალი, უკუ სვლის სიგნალი, კაბინაში არსებული საინფორმაციო და*				

	გამაფრთხილებელი ინდიკატორები)				
9	**ჰიდრავლიკა მუშაობს გამართულად ?** *(ჩაატარეთ ფუნქციური ტესტი, აამოქმედეთ ნიჩაფი/ კოვში ან ჩანგალი ნელი მოძრაობით ზემოთ - ქვემოთ)*				
10	**საჭე და მუხრუჭები გამართულია ?** *(ჩაატარეთ ფუნქციური ტესტი შეამოწმეთ საჭე და მუხრუჭები მათ შორის ხელის მუხრუჭები)*				
11	**ინდ. დაცვის საშუალებები ადგილზეა ?** *(სპეც ფეხსაცმელები, ჩაფხუტი, შუქამრეკლი ჟილეტი)*				
	დამატებითი კომენტარი				

შემოწმების, დადებითი შედეგი მონიშნეთ გრაფაში **კი**. დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში კი გრაფა **არა**. თუ ტექნიკა არ საჭიროებს კონკრეტულ პუნქტს მონიშნეთ N/A

დაზიანების დაფიქსირებისას თქვენ ვალდებული ხართ შეატყობინოთ პრობლემა პირად ხელმძღვანელს და გააკეთოთ შესაბამისი კომენტარი ჟურნალში

24. დანართი C (საგანგებო სიტუაციებზე რეგირების გეგმა)

გამორთეთ ავტომანქანის ძრავი, არ გადაადგილოთ ა/მანქანა შემთხვევის ადგილიდან. აღმოუჩინეთ პირველადი სამედიცინო დახმარება დაზარალებულს (არსებობის შემთხვევაში) თუ გაქვთ შესაბამისი სასწავლო კურსები გავლილი. დაუკავშირდით საპატრულო პოლიციას/სასწრაფო დახმარებას/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახურს (საჭიროებისამებრ) 112 და პირად ხელმძღვანელს ან კომპანიის H&S სამსახურს და მიაწოდეთ შემდეგი ინფორმაცა:
შენიშვნა: თუ მძღოლი დაშავებულია მგზავრი ვალდებულია იმოქმედოს მის მაგივრად

↓

- სახელი/გვარი:
- შემთხვევის ზუსტი ადგილმდებარეობა;
- თქვენი მარშუტის დეტალები;
- თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი;
- მგზავრის ვინაობა (არსებობის შემთხვევაში);
- მანქანის მდგომარეობა;
- ტვირთი;
- ინფორმაცია დაშავებბულის შესახებ;
- ინფორმაცია მესამე მხარის შესახებ;
- დამატებითი დეტალები ინციდენტის შესახებ.

↓

საკონტაქტო ნომრები:
ავტომეურნეობა ----------
H&S ----------
Security მენეჯერი----------
საგანგებო სიტუაციების სამსახური --112----------
სადაზღვეო კომპანია ----------

25. დანართი D ა/ტრანსპორტის შემოწმების ფორმა

მძღოლი **სახელი/გვარი** **თარიღი**

ადგილმდებარეობა	
ა/მანქანა (მარკა სახ.ნომერი)	
მძღოლი (სახელი გვარი)	
შეოწმების თარიღი/დრო	

შემოწმების კრიტერიუმები

№	დასახელება	კი	არა	N/A	კომენტარი
1	მძღოლის მართვის მოწმობა ადგილზეა				
2	ა/მანქანის ტექნიკური პასპორტი ადგილზე				
3	მძღოლის იდენტიფიკატორი ადგილზე				
4	წინასამგზავრო დათვალიერების ჟურნალი				
5	ცეცხლმაქრი ადგილზეა და არის გამართული				
6	პირველადი დახმარების ყუთი ადგილზეა და არის გამართული				
7	შუქამრეკლი ჟილეტი ადგილზეა				
8	მძღოლს აქვს ყველა საჭირო PPE				
9	უსაფრთხოების ღვედი გამართულია და ხდება მოხმარება				
10	წინა მაშუქები გამართულია				
11	უკანა მაშუქები გამართულია				
12	ციმციმა ინდიკატორები გამართულია				
13	უკანა სვლის ხმოვანი სიგნალი გამართულია				
14	ა/მანქანის ხმოვანი სიგნალი გამართულია				
15	ელექტრო მაჩვენებლები ნორმაშია				
16	ა/მანქანის გარე მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია				
17	ა/მანქანას არ აღენიშნება სითხეების ჟონვა				
18	სისუფთავე ა/მანქანის სალონში				
19	საგანგებო სიტუაციების გეგმა ადგილზეა				
20	შეუსაბამობის კომუნიკაცია ხელმძღვანელობასთან				
21	ხელმძღვანელობის ქმედებები შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის				
საერთო შეფასება და პრობლემები:					

შემოწმება ჩაატარა

სახელი/გვარი	*თანამდებობა*	*თარიღი*	*ხელმოწერა*

26. დანართი E - საშვი ა/ტრანსპორტზე/მობილურ ტექნიკაზე

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT
GEORGIA

საშვი
Access Pass
№ 0005

P

Validity till მოქმედია **31/ 12/ 2018** --მდე
რეგ.№ PI 142 IP
ტიპი/მოდელი Car Type/Model

ორგანიზაცია Company

ნებადართულია შესვლა/მუშაობა ქარხნის ტერიტორიაზე
Permission to enter/work inside Plant area

27. დანართი E- საშვი მძღოლზე/ოპერატორზე (წიმუში)

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT
GEORGIA

საშვი
№ 0001

მოქმედია : 31/12/2018 მდე

მართვის მოწ. : № OH0045510

სახელი/გვარი :

ორგანიზაცია : შპს

ნებადართულია შესვლა/მუშაობა კასპის ქარხნის ტერიტორიაზე, გავლილი აქვს უსაფრთხო მართვის ტრეინინგი

ქარხნის ტერიტორიაზე მუდმივად გამოვიყენოთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

მუდმივად დავიცვათ მოძრაობის წესებს

თამბაქოს ყოველთვის ვეწევით სპელიალურად მოსაწევ ადგილზე